ოქმი:**ო08. 3724177001**

თარიღი:**25/06/2024**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 25 ივნისი
ქ.ოზურგეთი
14:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ნ. ურუშაძე, ნ. მახარაძე, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, შ. თავდიშვილი, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი.
სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: გ. ღურჯუმელიძე

3. 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ლ. ბიგვავა

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამართლებრივი აქტის პროექტები. ვრცლად პირველ საკითხთან დაკავშირებით

ისაუბრა, თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ. აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში იზრდება 36007952,94 ლარით. შესაბამისად იზრდება მიზნობრივი ტრანსფერით ა(ა)ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდია 70600 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება-75000 ლარით, წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია, სუბსიდია-12000 ლარით.

მერის პირველმა მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ განმარტება გააკეთა ,, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სამართლებრივი აქტის პროექტზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხზე, ვრცლად ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლ.ბიგვავამ. აღნიშნა, რომ ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ სჭირდება სერიოზული მხარდაჭერა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ფინანსდება როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალური ბიუჯეტებიდან. პროგრამას ახორციელებენ მუნიციპალიტეტები. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარება და მოსახლეობის მაღალი ჩართულობა ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში. კომისიის წევრებმა განიხილეს სამართლებრივი აქტების პროექტები, იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

N1, 2, 3 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, N1, საკითხი, განხილვა-დამტკიცების, N2 საკითხი საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაწყების, , ხოლო N3 საკითხი ცნობად მიღების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი